



# საქართველო

## ჩეღაქცია

საგაზეთო მანადა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფრო სით იფიქრება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია პრაქტიკულად მიწერა მოწერას მის შესახებ არ ეისრულებს.

ჩეღაქცია ღიაა დღის 9-3 საათამდე, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სახაბლოს ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

## კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პერიტის პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიაო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 11/2 საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დღის 10 საათიდან 3 საათამდე.

სალაშონი ჩეღაქცია და კონტორისა 15-73

მამულის ქარვასლის ვიკრები მწუხარებით აუწყებენ ქარვასლის მოხუცებულ დამაარსებლის

### ზაქარია გაბრიელის ძის თაგაშვივის

დაცვალებას. პანაშვილი პარასკევს საღ. 6 ს. ამაღლების ქ. № 1. მის გამოსვენება შაბათს, 15 მარტს ნორაშნის ლეთისმშობლის უსიაში დღის 11 საათზე დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. ეს გამოცემა შაბათს მიულ დღეს მალაზეები დაკეტილი იქნება. 1-1

ტრალიკულად გარდაცვალებულის მანგლისის შტაბ-კაპიტანის სვიმონ (ვალიკო) ვუჩაშის ძე

### მეტრეველის

მეოცი დღის შესრულების თავზე პარასკევს, 14 მარტს 12 საათზე დახვალ იქნება პანაშვილი განსვენებული საფლავზე დიდუბის უსიაში, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მსგებნეების მშობლები: ეგრემ ანდრის ძე, სოფიო გიორგის ძე, ძმები და დები: სარდიონ, ანდრია, ეკატერინე, ეფემია, მანა და თამარა მეტრეველები, სიძე აფანასი და ბუნდელიძე იარიგ-1-2214-1

გარდაცემული გიორგი, თევდორე და იოსებ თევდორის ძენი, გარდაცემული და ნინო ილიას ასული ჟორდანიანი უსიაში მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ შაბათს და დაუფიქარის ძმის და მანლის, თბილისის მეორე სასაფლაო სასაფლავების მე-8 კლასის მოწაფის, სანაპირო რაზმის ჯარისკაცის

### კონსტანტინე (კოსტა) თევდორას ძის შოკო ნიას

გარდაცვალებას. ს. სანდარში, ამა მარტის 12-ს, ცხედარს დასვენებენ ქ. თბილისში რკინის გზით შაბათს, მარტის 15-ს, დაკრძალვა თბილისშივე კვირს, მარტის 16-ს.

ღის 10 საათზე თბილისში მარტის 19-მეტს მოდის წმ. ნინოს მსტრში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვილი უდროვოდ გარდაცვალებულის სილნალის გამოძიებების

### შალვა სოლომონის ძე კურსხალისა

ღის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და თათოქალის მშობლები: სოლომონი და ქრისტინე კურსხალისა, დები: ელიკო და კვიცილა; სიძეები ალექსანდრე იმერლი და ვახტანგ იანჭიშვილი. 2-2212-1

კუშკ ნის ფოტოგრაფია

### ა. მიხეილისა

(პუშკინის ქუჩა, № 5, პანახია)

მა სამხატვრო პორტრეტებს მიერ ზომიდა ნატურალურ სიდიდემდე, აკრძალული და პასტელის საღებავებით აგრადე შავი სეპიით, მშვე-სეროლება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია მერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღია დღის 10 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლად. 10-2168-5

დუარდ კლარის ფოტოგრაფიასთან გახსნილია

### რეტრატების გამაღვივებელი

პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან. ნატურალურ სი-როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სახაბლოს ქუჩა, № 5, ქართული კლუბის შესავალი.

### იყიდება

### კავიროსი და თუთუნი

### ქიზიყი

თი: ქალაქი თბილისი, მალაქის ქუჩა, № 27. საწყობი 31. ნახვა შეიძლება ყოველ დღე დღის 9 საათიდან 12 საათამდე. 4-2192-4



## საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებელი კრება, — არჩეული. პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფართული და პროპორციონალური ხარისხის ტემით ორივე სქების მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველხავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის ხავეებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევს 6 ს. და 10 წ. თბი-ლისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

- 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილშეზოზიანი განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით—კი მოსაზრებ სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.
- 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფლ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
- 7) დამოუკიდებელ კრების შეკრებამდე შიშის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეესებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.











